


შერეშის მაცნე




მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №5(139) 2017 წ. 1-15 მატი ფასი 50 თეთრი



ღაპით ივანოშვილი

გაზაფხული

საოცარია გაზაფხულის ყვავილთა სიტკბო, ოცნების ფერში მესახება ირგვლივ ყოველი, ფურისულების ამოფრქვევა გულს ისე მითბობს, იის სურნელი გარს მევლება ყოველის მთრობელი. ოკეანეზე გადმოფრინდნენ მერცხლები თითქოს, შინ ბრუნდებიან და დამატებობს მათი ჟღურტული, აქამდე რაც კი მინატრია მხოლოდ ერთს ვითხოვ- ქათქათა ვარდით შეიმოსოს მთელი სოფელი. აალებული ატმის გუნდი ჰორიზონტს მიხმობს, რომ გაკვირტული დამენახოს გულის მპყრობელი, აივნის კიდეს შესამჩნევად გამთბარა სიო შორიდან უცებ ჩაგიქროლებს ყელში მკოცნელი. ვით გაღვიძება სიცოცხლისა, მე ასე ვფიქრობ, იადონების ენით თქმული საგალობელი, ღამის ხელახლა დაიბადოს მთელი სამყარო, ირგვლივ ყველა და ყველაფერის მახარობელი.



ქართულ ქალაქზე უთქვამთ:

პიეტრო დელა ვალე უახლოეს მეგობარსა და ექიმს მარიო სკიპანოს სწერდა: „სიმათლე რომ ითქვას, ქართველი ქალები ძალზე ღამაზნი არიან მთელს აზიაში. შავგვრემანი სპარსელები მათ ვერ შეედრებიან. ქართველი ქალები არიან იმდენად ტანმალანი, რომ სიმაღლე ქალბატონ ფაუსტინა ალბერინისა, დედანემისა, ძალზე ჩვეულებრივია მათ შორის. თითქმის ყველას შავი თმა აქვს და თვალებიც შავი – დიდრონი და მომხიბლავი, პირისახე – თეთრი ფერისა, ხოლო ღოყები – ვარდისფერი... მე ვთვლი ქართველებს ერთ-ერთ უღამაზეს ხალხად მთელს მსოფლიოში“..

„**ქართველი** ქალები ძალიან ღამაზები არიან. მაღალი წრის ქალებს რაღაც თავისებური ნაკეთები და სინაზე აქვთ, რაც გხიბლავს. მე შემხვედრია მათ შორის მშვენიერი აღნაგობის ქალები, დიდებული იერით,

საუცხოო სახითა და ტანით. გარდა ამისა, მათ აქვთ ისეთი მიმზიდველი და აღერსიანი გამოსხევა, რომ მაყურებლისაგან თითქოს ტრფობას ითხოვენ. აქვთ ჭეშმარიტად გამჭრიახი და მახვილი გონება, არიან თავაზიანები, ზრდილნი, დარბაისელნი და გულთბილნი; მაგრამ ამავე დროს ამაყნი, ქედმაღლნი, დაუნდობელნი და უღმობელნი...“

შარლენო

„**ქართველი** ქალების უმეტესობა ბუნებას ისეთი სინატიფით დაუჯილდობია, როგორსაც ვერსად შეხვდებით. ვფიქრობთ, შეუძლებელია მათ თვალი მოჰკრათ და არ შეგიყვარდეთ. ქართველ ქალზე უფრო მშვენიერი სახის და ტანის დანახვაც კი შეუძლებელია. არიან მაღალნი, კოხტა და მოქნილი ტანისა და საოცრად წელწერილნი“.

ქოზეშ მარია კამპო

მუნიციპალური კვარტალი

საგარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანობიერი



7 მარტი, 2017 წელი

საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს **ამავე მუნიციპალიტეტის გამგეობელი ბიორბი ბუიორბი** უძღვებოდა. მან გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად მიმოიხილა და ჩაინიშნა სოფლებში არსებული ის პრობლემები, რომლებიც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების მოსაწესრიგებლად აუცილებელ მოგვარებას ითვალისწინებს. საუბარი შეეხო ასევე სოფლებში მოსახლეობის მიერ თვითნებურად შექმნილ იმ ნაგავსაყრელებს, რომლებიც მალე ანტისანიტარიის წყაროდ იქცევა. თათბირზე დაისახა მთელი რიგი ღონისძიებები სოფლად არსებული პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად.

1 მარტი, 2017 წელი

საგარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას **ამავე საკრებულოს თავმჯდომარე შრიდონ ბურდული** უძღვებოდა.

სხდომის დღის წესრიგის საკითხზე „საგარეოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საგარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ მოხსენება გააკეთა **საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა თინათინ კაბილაშვილმა**. როგორც მან აღნიშნა:

– დადგენილების პროექტის მომზადება გამოწვეულია საქართველოს კანონის „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 23-ე მუხლის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და საგარეოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის №506 და №265 განკარგულებით გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი ნაშთის განაწილებით.

პროექტის მიღებასთან დაკავშირებით საგარეოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელი სახელმწიფო ბიუჯეტით გაიზრდება 3551 ლარით.

საგარეოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელში **ბანსორცივლდა შემდეგი ცვლილებები:**

- 1) მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქონელი და მომსახურების მუხლი შემცირდა 6470 ლარით;
- 2) მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯები შემცირდა 72605 ლარით, მათ შორის შრომის ანაზღაურების მუხლი -15884 ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლი შემცირდა 56721 ლარით;
- 3) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების მუხლი შემცირდა 7850 ლარით;
- 4) სოფლის ამბულატორიების მომსახურების საქონელი და მომსახურების მუხლი შემცირდა 6600 ლარით;
- 5) სტიქიური უბედურების შედეგად დანგრეული სახლის მაცხოვრებელთა კომპენსაცია შემცირდა 125 ლარით;
- 6) კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების მუხლი შემცირდა 5000 ლარით;
- 7) შპს „საგარეოს“ სუბსიდიის მუხლი შემცირდა 2850 ლარით;
- 8) ა(ა)იპ საგარეოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების სუბსიდიის მუხლი შემცირდა 2500 ლარით;
- 9) ა(ა)იპ - საგარეოს 105 კომპლექსური სასპორტო სკოლის სუბსიდიის მუხლი შემცირდა 1000 ლარით;
- 10) ა(ა)იპ - „საგარეოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ სუბსიდიის მუხლი შემცირდა 23000 ლარით;
- 11) ა(ა)იპ „საგარეოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლის“ სუბსიდიის მუხლი შემცირდა 1000 ლარით;
- 12) ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანების სუბსიდიის მუხლი შემცირდა 4000 ლარით;
- 13) საგამომცემლო საქმიანობის სუბსიდიის მუხლი შემცირდა 1000 ლარით;
- 14) უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსების სუბსიდიის მუხლი შემცირდა 15 000 ლარით;
- 15) ხანდაზმულთა ცენტრის პროგრამის სუბსიდიის მუხლი შემცირდა 1 000 ლარით;

შემცირებული 150000 ლარი გადანაწილდა ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებებში.

ინფრასტრუქტურა-2017

სოფელ ნინოწმინდაში

ე.წ. „ქანანთხევი“ ბაიწმინდა

საქართველოში ხშირია სტიქიური უბედურებები, მათ შორის წყალდიდობები. ამ მხრივ არც საგარეოს მუნიციპალიტეტი გამონაკლისი. ამდენად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხეებისა და სანიაღვრე არხების მოწესრიგებას.

მუნიციპალიტეტის გამგეობის გიორგი გზირიშვილის დავალებით, შპს „საგარეოს“ სოფელ ნინოწმინდის ცენტრში არსებული ე.წ. „ქანანთხევის“ გაწმენდითი და მოსაწესრიგებელი სამუშაოები განახორციელდა. ხევი პრაქტიკულად გავსებული იყო მიწის ნატანითა და სხვადასხვა სახის ნარჩენებით. ადგილობრივი მცხოვრებლების განმარტებით, ხევი 20 წელზე მეტი, ამ მდგომარეობაშია. შპს „საგარეოს“ თვითმცდელობა და სპეცტექნიკის მეშვეობით გატანილ იქნა ნაგავი, ხევი ზოგ ადგილას ჩადრმავდა, ზოგან კი გაფართოვდა. შესაბამისად, წყალდიდობის შემთხვევაში მოსახლეობას პრობლემები აღარ შეექმნება. რაც არანაკლებ მთავარია, შპს „საგარეოს“ კიდევ ერთი ანტისანიტარიის კერის ლიკვიდაცია მოახდინა.



სოფლის მეურნეობა

საეციალსტი ბვირჩეხს

როგორ მოხსნათ და დაზარალებულთა ნიადაგი

სოფლებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხანა იწყება. როგორ მოხსნათ და დაზარალებულთა ნიადაგი; როგორ ბაზარზე გაიტანოთ კულტივაცია და შემდგომში ხანის ხარისხი.

ნიადაგის დამუშავების მიზანია მის განსაზღვრულ ფენაში შეიქმნას მცენარის თესვა-რგვის, აღმოცენების, ზრდა-განვითარებისა და სასაქონლო დამწიფებისათვის საჭირო ხელშემწყობი პირობები, რაც გულისხმობს ნიადაგში საკვები ნივთიერებების, ჰაერის და წყლის ოპტიმალური თანაფარდობის დამყარებას.

ასეთი ოპტიმალური რეჟიმის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ფხვიერი ნიადაგის ფენაში, რისთვისაც მიმართავენ ნიადაგის მექანიკურ დამუშავებას სხვადასხვა ხერხით.

ნიადაგის მექანიკური დამუშავების შედეგად უმჯობესდება მისი ნაყოფიერების პირობები, იზრდება მასში წყლის მარაგი, ისპობა სარეველა მცენარეები, ჩერდება ეროზიული მოვლენები, გამოიყენება ქვედა ფენებში არსებული საკვები ნივთიერებები, რეგულირდება მიკრო-ბიოლოგიური პროცესები.

ფხვიერ ნიადაგში ჰაერის უანგბადის დახმარებით უხსნად მდგომარეობაში მყოფი საკვები ნივთიერებები იხსნება წყალში და მას იწოვს მცენარის ფესვები. თავის მხრივ, ფესვთა სისტემა ინტენსიურად ვითარდება ნიადაგის დიდი წინაღობის გარეშე.

ფხვიერი გვაღვიანი ნიადაგის ქვედა ფენებიდან წყლის ასაწვეად მიმართავენ ზედაპირული ფენის დატკეპნას. ამის შედეგად წარმოიქმნება კაპილარები, რომლებიც ზედა ფენებს ამარაგებენ თესლის გაღვივებისათვის საჭირო წყლით.

სოფლის მეურნეობის წარმოებაში **მიღებულია ნიადაგის ძირითადი, ზედაპირული და საეციალსტი დამუშავების სახეები:**

ძირითადი დამუშავება წარმოებს შემოდგომით მოსავლის აღებისთანავე 25-35 სმ სიღრმეზე ბელტის მოჭრით, გადაბრუნებით და გაფხვიერებით.

ძარისმიერი ეროზიის პირობებში ნიადაგს 25-40 სმ სიღრმეზე ბელტის გადაბრუნების გარეშე აფხვიერებენ.

ზედაპირული დამუშავება წარმოებს თესვისა და რგვის წინ, მასთან ერთად ან მის შემდეგ, არაუმეტეს 12-14 სმ სიღრმეზე. იგი სრულდება აჩენით, აოშვით, ფარცხვით, კულტივაციით, ფრეზებით, გაფხვიერებით,

დატკეპნით, სარეველა მცენარეების მოჭრით და სხვა.

საეციალსტი დამუშავება წარმოებს ახალი მიწების ათვისებისას, მიწების გაუმჯობესებისას და მრავალწლიანი კულტურების გაშენების წინ 40-70 სმ სიღრმეზე. ეს დამუშავება სრულდება ჯაგნარ-ჭაობიან მიწებზე ბელტის მოჭრით და გადაბრუნებით.

ნიადაგის ნულმანი დამუშავება ნოტილის მეთოდით, ეს დამუშავება ითვალისწინებს მარცვლეული კულტურების და მრავალწლიანი ბალახების თესვას მოუხნავად, სარეველებთან ბრძოლა ხდება პერბიციდებით.

სოფლის მეურნეობის წარმოებაში ნიადაგის დამუშავებისას შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობიდან ყველაზე მეტი ხვედრითი წილი ხვდება მოდის. ამასთან, **ხანის ხარისხს არსებითი მნიშვნელობა აქვს მისი მომდევნო ოპერაციების შესრულებისა და მაღალი მოსავლის მიღებისათვის.**

როგორ მოხსნათ ნიადაგი

ხანის ძირითადი იარაღი გუთანი წარმოადგენს, ამიტომ გუთნის კონსტრუქციას დიდი ყურადღება ექცევა. სახნისიანი გუთნებით ხანის ძირითადი მიზანია საქცევში სამუშაო ხელის დროს კორპუსმა მოჭრას საქცევის გაყოფებით გრძივი ბელტი, ასწიოს, გააფხვიეროს და გადააბრუნოს საბოლოო მდგომარეობამდე.

ამასთან, ბელტის სიგანე უნდა უდრიდეს კორპუსის მოდების განს, ხოლო სისქე ხანის დადგენის სიღრმეს.

გარდა ამისა, ბელტის გადაბრუნების შედეგად მის ქვეშ, ხნულის ფსკერზე უნდა მოიქცეს ნიადაგის ზედაპირზე აღმოცენებული სარეველები და მისი თესვები, მავნე მწერების კვერცხები, ჭურჭები და სხვა, რომლებიც ნიადაგის ქვედა ფენაში გაუვნებელი გახდებიან.

ხანა უნდა შესრულდეს აგროტექნიკურად შესაფერის ვადაში და სიღრმეზე, ჩვეულებრივ 25-35სმ-ზე, თხელფენიან ნიადაგის შემთხვევაში კი — სრულ სიღრმეზე. ხანა უნდა წარმოებდეს სწორ კელებად და უხარვეზოდ.

ხანის დამთავრებისთანავე ნაკვეთის



თავი და ბოლო უნდა გადაიხნას. ფერდობებზე ხანა ქანობის გარდი-გარდმო უნდა ხდებოდეს.

ნიადაგის ქვედა ფენა უნდა ამობრუნდეს ზევით, ზედა შრე კი — პირიქით, ქვემოთ ჩაიხნას. უნდა შეიქმნას თანაბარი ერთგვაროვანი სახნავი ფენა.

ყოველწლიურად ერთსა და იმავე სიღრმეზე ხანის შედეგად კვლის ფსკერი მაგრდება, რაც პერიოდულად უნდა დაირღვეს დაწესებულ სიღრმესთან შედარებით 3-5სმ-ით უფრო მეტ სიღრმეზე ხანით.

ხანის ხარისხის შემოწმება

ნიადაგის ხარისხი პირველ რიგში დამოკიდებულია თვით ნიადაგის მდგომარეობაზე, მისი ტენიანობის ხარისხზე, ნიადაგის სიმწიფეზე.

ნორმალური ტენიანობის დროს მისი სიდიდე ზღვრული ტენიანობის 60-80%-ს უდრის. ხანის სიღრმე მოწმდება ღია კვალში, 20 ადგილას, ნაკვეთის შუა წელსა და ბოლოში დიაგონალების მიხედვით. ხანის საშუალო სიღრმეს ადგენენ ყველა სიღრმის გაზომვათა ჯამის გაყოფით გაზომვათა რიცხვზე.

სარეველა მცენარეთა მოჭრილობა და ჩახნულობა მოწმდება მ2-ობით ნაკვეთის დიაგონალზე 10-25 ადგილას, ყველა წერტილში ათვლილი სარეველათა ჯამი იყოფა კვადრატთა რიცხვზე და აიღება საშუალოდ 1 მ2-ზე, ასევე ათვლება ნაწვერ-

ლის და სხვა ნარჩენებიც.

კულტივაცია

კულტივაცია უნდა შესრულდეს 12-15სმ სიღრმეზე, მხოლოდ მწიფე ნიადაგზე, რომელიც კი არ იგლისება, არამედ ფხვიერდება. პირველი კულტივაცია სასურველია შესრულდეს ხნულის, ხოლო მომდევნო კი პირველი კულტივაციის გარდვიარდმო. კულტივაციის დროს ნიადაგის ზედაპირი უსწორმასწორო არ უნდა რჩებოდეს, თხემის სიღრმე 3-4 სმ არ უნდა აღემატებოდეს.

კულტივაციის შედეგად უნდა მოიხსოს სარეველა მცენარეები, კულტივაცია ხელს უწყობს ნიადაგში ტენის დაგროვებას.

კულტივაციის ხარისხის შემოწმება

კულტივაციის ხარისხი მოწმდება მუშაობის პროცესშივე აგრეგატის მიუღი მოდების განზე, ნაკვეთის დიაგონალის მიხედვით, 10-25 ადგილას, ნაკვეთის თავში, შუასა და ბოლოში კულტივაციის სიღრმე უთანაბრობა არ უნდა აღემატებოდეს 2სმ-ს სარეველის მოჭრის ხარისხი დადგენილი უნდა იქნეს კვადრატული მეტრულების საშუალებით, თანახმად ზემოთ განხილული წესებისა თხემიანობა, ხარვეზიანობა დადგენილი უნდა იქნეს ზემოთ განხილული წესების მიხედვით.

ბრძოლა საბარჯლოს წინააღმდეგ

ძარმა საბარჯლოს ყოფილი რაიკაგშირის უბნობას სახურავი გადახანდა



თებერვლის ძარმა საშემოდგომო ნათესები დააზიანა

საბარჯლოს მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უმეტესი ნაწილი ქარისმიერი ზემოქმედების ზონაშია მოქცეული, რის გამოც ხშირად ზიანდება გარეკახელი მხვენელ-მოთესველების ნათესები, ზოგჯერ კი ქარი მთლიანად ანადგურებს მათ ნაშრომს.

თებერვლის ქარებმა არც წელს უღალატეს ჩვევას და 23-24-25-26 თებერვალს ძლიერმა გრივალმა 50-60%-ის ფარგლებში დააზიანეს ნათესი საშემოდგომო თავთავიანების 2000 ჰა ფართობი. აქედან, ყველაზე დიდი ზარალი მიადგა იორმულანლოს ზონაში განთავსებულ ნათესებს, სადაც დაზიანდა 500 ჰა ნათესი, 350-350 ჰა ნათესი დაზიანდა ქ. საგარეჯოს და ს. უდაბნოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში, 300-300 ჰა პატარძელსა და სათაფლეში, 100 ჰა ნინოწმინდაში, 50-50 ჰა ხაშმსა და გიორგიწმინდაში.

პ. ლავახიშვილი

გაპუფრთხილეთ გარემოს!

კიდევ ერთი აქცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასახუფთავებლად

2 მარტს, კახეთში სახელმწიფო რწმუნებულის **ირაკლი ჭაღაბიშვილის** ინიციატივით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით დასუფთავების აქცია მოეწყო. აქციაში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი **ბიორბი გზირიშვილი**, გამგებლის მოადგილე **ბიორბი რევაზიშვილი**, საკრებულოს თავმჯდომარე **ფრიდონ ბურღული**, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მათთან ერთად ამ აქციაში მონაწილეობაც აქტიურად იყო ჩართული.



დღე, რომელსაც წლებია ელოდნენ

გაიხსნა რეაბილიტირებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მანავეში, ე.წ. „ბურდიანის დასახლებაში“ № 2 საბავშვო ბაღი (მენეჯერი: მაია მირზაშვილი) გაიხსნა. ახლადგახსნილი დაწესებულება **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლმა ბიორბი გზირიშვილმა** და **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებების განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქითხის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ ჯაბაღარმა, ა.ა.ი.პ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა ელზა ბილაშვილმა** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა დაათვალიერეს. „დღევანდელი მთავრობა აქტიურად ახორციელებს სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მშენებლობას და რეაბილიტაციას. ეს დაწესებულება არის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი და არის ახალი სათამაშოები, ასევე ყველანაირი პირობა, რაც ბავშვების ღირსეულად აღზრდისთვის არის საჭირო.“ - განაცხადა გიორგი გზირიშვილმა. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 48 000 ლარი იყო გამოყოფილი.



ქალთა შრომობა

მარინა შანიძე

მშობლიური გაზაფხულის მონატრებით

ახალი ღმერთები



ლალი ჯულაყიძე ერთ-ერთი იმ მანდილოსანთაგანია, წინა წლებში საქართველოში შექმნილმა სოციალურ-ეკონომიურმა და უპირველესად პოლიტიკურმა მდგომარეობამ სხვა ქვეყნის „მოქალაქედ“ რომ აქცია...

ქურთიშვილების რძალია - საამაყო, ნიჭიერი, უღამაჯესი და სათუთი გულის პატრონი. გულდასუთ ქ-ნ ლალის და მშობლიურ კერას მოცილებულ ჩვენს ემიგრანტ ქალებს 3 და 8 მარტს გამძლეობა მისცეთ უფალმა.



როცა წარსული ბარათებს გაშლის, სასიყვარულოს - შენგან დანატოვს, როცა მიგხვდება, თუ ამ სიყვარულს, გულში რა კვლიც დაუტოვია, გაზაფხულდება, მაგრამ რაღა დროს, მხრებზე წლებს უკვე დაუთოვია... :(მარინა შანიძე.

მიყვარს გაზაფხული ბრუკლინში. უღიმვამო, დომინანტი ნაცრისფერი იკარგება. უსახური „პირქუში“ შენობებიც კი მწვანეში ეხვევიან და სიმკაცრეს კარგავენ...

იქვე, მალაზიასთან საშუალო ასაკის კაცი დგას. ჯერ კიდევ შარშან გაზაფხულს მიიპყრო ჩემი ყურადღება. თბილი ქურთუკი ეჭირა და მოზრდილი ჩემოდანი იქვე ახლოს მიეყუდებინა...

აშკარად, ფსიქიურად ვერაა კარგად. თუმცა არავის არაფერს უშვებებს. ან არ იღლებს მაინც, ასე მთელი დღე ფეხზე დგომით, ან ეს მოლოდინი როგორ არ აგვიუბნებს?...

ნეტავ ვის უცდის? ასე ბედნიერი სახით კაცი, ალბათ მარტო ქალს დაუცდის და ისიც შეეყვარებულს. რა სიმბატიურია! საჯიშო, ასეთებზე ამბობენ ალბათ. ნეტა ის ქალი როგორი იყო? ღამაზი, აუცილებლად ღამაზი იქნებოდა...

მეტიწარა ენძელებმა, კვლავ მეჯლისი გამართეს, შეესივნენ ჩემი სოფლის აღმართებს და დაღმართებს, ყოჩივარდაც ისევე სტუმრობს, მზით მონითულ მთა-გორებს, მე კი დარდად შემომავა...

დღედაღამ ლოცვით თქვენს მომავალს უფალს ვავედრებ, ჩემ სიცოცხლესაც, უყოყმანოდ, მსხვერპლად გთავაზობთ, რაც შემთქმნის, ვცდილობ...

და ის თავისით არ მოსულა ია-ვარდებად. დღესაც ასეა, ნარ-კალი ისევ ბიბინებს, მაგრამ მე მაინც გიღამაზებთ ხვალის იმედებს...

მტრობამ, ღამის, დააქციოს ქვეყანა, აღარ ფასობს ჭეშარიტი სიმართლე, ირგვლივ ისე აირია სამყარო, გვირახს იქით დაიკარგა სინათლე...

თითქოს სამყარომაც ბინდი გადაიკრა, ზარი ჩაჩუმდა და სული გაირინდა, ეგ შენი სიცოცხლე, ჩემგან ნაფერები, ვერც კი გავიახრე, ისე გამიფრინდა...

გაზაფხულდება, როცა მზის სხივი ნათელს მოაფენს ფანჯრის მინაზე, როცა იები და ენძელები თავს დაგვიკარგენ თოვლის ჯინაზე...

ტანჯვით ნათევებო დამეგებო, გზიდან გამეცალეთ, ფრთხილად! ნუთუ დრო არ დადგა, დამასვენოთ, მშვიდად გავითენო დილა?...

ჩემს სავალს შიშით გავეყურებ... შენ არ ჩამიქრე სანთელსო! თორემ საავდრო ღრუბლებში, მოვარე ვერ ციცინათელობს...

აღარც ურბული, არც ოროველა, არსად მოისმის სოფლის შარახე, სად გაიხიზნენ მეგუთნები? სახლის კარებიც მაგრად ჩარახეს?!

ვაზაფხული უჩვეულოდ ამზიანდა, სიხარულმა დაიქუხა მეცხრე ცაზე, ყველა დარდის ცხრაკლიტული დაამსხვრეც...

შენ რომ განხდი ამ მაღლიან ქვეყანაზე-აეღვარდა ცისარტყელას შეიდი ვერი, მზემ ღრუბლები გულმკერდიდან შემოიხსნა...

დამე წენარი, წველიადი და უკუნეთი, მოვარემ მხრებზე ვაქაცურად შემოიხვია... ეს სულ შენ ხარ, ცისარტყელაც...

ვარსკვლავები - სამკაულად აკინული, სურნელს მაფრქვევით დედოფლად მოვლენილი ღურჯი ია, ბუჩქის ძირას გარინდული... ახლა გული, მხოლოდ შენზე ხრუნეთი ფეთქებს და ეს გრძობა ჩემი სულის ცისკარია, დამიჯერე, შენ რომ მკავხარ, მე სიცოხლე სულ სხვაგვარად მწადია და მიხარია!!

რედაქტორი: თინათინ ილაური
„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru